

გაუპატიურებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის
ანალიზი გენდერულ ჭრილში

თამარ კაპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კაპანაძე,

22.06.18.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი გაუპატიურებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის პრობლემური ასპექტების წარმოჩენა და მათი გენდერულ ჭრილში განხილვა იყო.

ამისთვის ნაშრომში გაანალიზებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა გაუპატიურების შესახებ, ასევე ამ მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და საერთაშორისო კონვენციები, პირველ რიგში, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, ეროვნული კანონმდებლობის მათთან შესაბამისობის დასადგენად.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ კანონმდებლობას აქვს პროგრესი ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობაში, ცდილობს ფეხი აუწყოს საერთაშორისო სტანდარტებს და ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, თუმცა კვლავ გადაუჭრელი რჩება პრობლემების ნაწილი, რომელიც გამოწვეულია პატრიარქალური კულტურის დომინანციითა და კანონმდებლობის გენდერული სიბრმავეით. ამ პრობლემების გადაჭრა კი გაუპატიურების მსხვერპლთათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გაუპატიურებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის ქალთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისთვის საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა და ყურადღება, ეფექტიანი პრევენციული მექანიზმების შემუშავება, სახელმწიფო სერვისების განვითარება, სასამართლოს გენდერული მგრძობელობის გაზრდა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: გაუპატიურება, ქალთა უფლებები, სტამბოლის კონვენცია

Abstract

The aim of below represented master's thesis was the presentation of problematic aspects of national legislation and judicial practice related to rape crime and analyzing them in terms of gender.

While working on the thesis I analyzed the statutory of rape, according to the Georgian Criminal Code, as well as, case law connected to this topic. Besides, I analyzed international conventions, and first of all Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence to determine compliance.

Research showed that Georgian legislation definitely progressed while working on issues related to violence against women and tries to keep pace with international standards and recommendations of the international organizations, but the problem remains unsolved part, caused by the domination of patriarchal culture and gender blindness of legislation. Solving these problems is the key element for the victims of rape.

Rape of national laws relating to women's rights and harmonization with international standards requires more effort and attention, elaboration of preventive mechanisms, the development of public services, the gender sensitivity and increase the public's awareness.

More effort and attention is required for harmonization rape related national law with international human rights standards. Elaboration of preventive mechanisms, the development of public services, increasing gender sensitivity of the court system and increasing the public's awareness are also important.

Key Words : Rape, Women's Rights, Istanbul Convention